მალხაზ მაცაბერიძე

გერმანული გეოპოლიტიკა 1920-1930-იან წლებში

თბილისი
2015

პირველმა მსოფლიო ომმა და შემდგომმა რევოლუციურმა ტალღამ ძირეულად შეცვალა მსოფლიო და, შესაბამისად, თეორიული მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობებისადმი. ამ დიდი ცვლილებების შემდგომ 1920-30-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი გეოპოლიტიკისადმი. პირველ რიგში ეს ეხება გერმანიას, სადაც ვეიმარის რესპუბლიკის პერიოდში გეოპოლიტიკა სულ უფრო პოპულარული ხდება და ამ დისციპლინის მრავალი წარმომადგენელი მჭიდროდ დაუკავშირდა ნაციზმს. მათი ნაწერები, არსებითად, ნაციონალ-სოციალიზმის გეოპოლიტიკურ დასაბუთებად იქცა. ნაციზმის ბატონობის პერიოდში გეოპოლიტიკის სწორედ იმ დებულებებს ეწეოდა პროპაგანდა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ფაშიზმის საშინაო და, პირველ რიგში, საგარეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ხანაში გერმანიაში აქტიურად მოღვაწეობდა გეოპოლიტიკოსთა მთელი პლეადა - ე. ობსტი, ო. მაული, კ. როსი, ე. ბანზე, ვ. ზივერტი, ი. კიუნი, რ. პენინგი, კ. ვოვინკელი, ა. ჰაუსჰოფერი და, რაღა თქმა უნდა, კ. ჰაუსჰოფერი, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია მათ შორის. სწორედ მის გამო გეოპოლიტიკა დიდი ხნის მანძილზე განიხილებოდა არა მარტო „ფსევდომეცნიერებად", არამედ წაუყენეს „ადამიანის მოძულეობის", „კაცჭამიობის", „ფაშიზმის თეორიული საფუძვლის" ბრალდებებიც.

1. გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბება

გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის პირველი ნაბიჯები (1919-1923)

გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ფორმირება გადამდგარი გენერალ-მაიორის **კარლ ჰაუსჰოფერის** სახელს უკავშირდება, რომელმაც 1919 წელს დაიწყო მუშაობა მიუნჰენის უნივერსიტეტში. გეოპოლიტიკის საკითხებზე მან დაიწყო სტატიების გამოქვეყნება, სიტყვებით გამოდიოდა მიტინგებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე.

1919-1923 წლებში გერმანიაში არსებული ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ის ადამიანები, რომლებიც თავს გეოპოლიტიკოსებს უწოდებდნენ, მიზნად ისახავდნენ გერმანიის სახელმწიფოს ეროვნულ აღორძინებას, ვერსალის ხელშეკრულების დამამცირებელი პირობების დაძლევას. ისინი ცდილობდნენ ახალი დისციპლინის -

გეოპოლიტიკის მეშვეობით შეემუშავებინათ პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები, სამომავლოდ თავიდან აეცილებინათ იმის მსგავსი კატასტროფები, რაც გერმანელებმა პირველ მსოფლიო ომში განიცადეს.

ჰაუსჰოფერის გამოსვლებმა დააინტერესა ახალგაზრდა გამომცემელი **კურტ ვოვინკელი,** რომელმაც მას შესთავაზა დაეფუძნებინათ გერმანიაში პირველი გეოპოლიტიკის საკითხებზე სპეციალიზებული ჟურნალი. ამ წინადადებას ჰაუსჰოფერიც დაეთანხმა.

1923 წლის ზაფხულში კურტ ვოვინკელმა დააფუძნა საკუთარი გამომცემლობა, სადაც აპირებდა გამოეცა არა მარტო „გეოპოლიტიკის ჟურნალი“, არამედ მონოგრაფიებიც გეოპოლიტიკის საკითხებზე.

1923 წლის ბოლოსთვის გეოპოლიტიკით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევართაგან ჩამოყალიბდა „გეოპოლიტიკის ჟურნალის“ სარედაქციო საბჭო, რომელიც შემდეგ გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ბირთვად გადაიქცა. საბჭოში ჰაუსჰოფერმა პირადად მოიწვია ჰანოვერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე ერიხ ობსტი და ახალგაზრდა გეოგრაფი და ეთნოგრაფი ფრიც ტერმერი. თავის მხრივ ობსტმა წამოაყენა გერმან ლაუტენზახის კანდიდატურა. კურტ ვოვინკელის რეკომენდაციით სარედაქციო საბჭოში შეიყვანეს ახალგაზრდა სახელმწიფოთმცოდნე კურტ ჰესე.

1923 წლის 15-16 დეკემბერს ბერლინში შედგა სარედაქციო საბჭოს წევრების პირველი კონფერენცია. ამ კონფერენციაზე კურტ ვოვინკელმა დამსწრეთ შესთავაზა მიეღოთ „გეოპოლიტიკის ჟურნალის“ პროგრამა, სადაც გამოცემის მიზნების სახით სახელდებოდა ორი დებულება:

- გეოპოლიტიკის დამკვიდრება სამეცნიერო დისციპლინის სახით და მისი აღიარების მიღწევა სამეცნიერო საზოგადოების მიერ. ამ მიზნის მიღწევის ფარგლებში საჭირო იყო ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა გეოპოლიტიკის ობიექტის და კვლევის მეთოდების განსაზღვრა, გეოპოლიტიკის როგორც მეცნიერების სტრუქტურის დადგენა და მის მიერ განსახილველი პრობლემების კომპლექსის შემოფარგვლა;

- მოვლენათა ანალიზი გლობალური მასშტაბით მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით სივრცით და ისტორიულ ფაქტორებზე.

კურტ ვოვინკელის აზრით, გეოპოლიტიკური კვლევების შედეგები უნდა გამხდარიყო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

კარლ ჰაუსჰოფერი ასეთი ამბიციური მიზნების ოფიციალურად გამოცხადების წინააღმდეგ წავიდა. მან წინადადება წამოაყენა ყურადღება მიექციათ ახალი ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული უფრო ნაკ-

ლებად მასშტაბური საკითხების გადაწყვეტისთვის. აქ, ალბათ პირველად გამოვლინდა ის, რომ ჰაუსჰოფერს არ უყვარდა თეორიული წიაღსვლები. მისი სტიქია იყო არსებული ვითარების და მსოფლიოს კონკრეტული რეგიონების გეოპოლიტიკური ანალიზი. უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ლაპარაკობდა თავისი შვილის ალბრეხტ ჰაუსჰოფერის წიგნის „ზოგადი პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა“ (ტომი პირველი) ღირსებებზე, აღიარა, რომ შესაბამისი მეთოდოლოგიური ჩვევებისა და განათლების არქონამ მას საშუალება არ მისცა თავად დაეწერა ასეთი მონოგრაფია.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაუსჰოფერის პოზიცია გაითვალისწინეს და „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ პროგრამა კონფერენციაზე არ მიუღიათ, ვოვინკელი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული წინადადებები თანდათანობით განხორციელებულიყო.

ამრიგად, 1923 წლის ბოლოს კარლ ჰაუსჰოფერის გარშემო ჩამოყალიბდა თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელთაც გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ძირითადი ბირთვი შეადგინეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ ახალ მეცნიერებაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებდნენ დასაბუთებულ რეკომენდაციებს გერმანელი პოლიტიკოსებისათვის ქვეყნის იმ კრიზისიდან გამოსაყვანად, რომელშიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა.

„გეოპოლიტიკური ჟურნალი“

1924 წელს კარლ ჰაუსჰოფერმა, ერიხ ობსტმა, ოტო მაულმა[1] და გერმან ლაუტენზახმა დააარსეს ჟურნალი „ეოპოლიტიკ", რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „ძეიტსჩრიფტ ფურ ეოპოლიტიკ". თავისი ნაშრომების უმრავლესობა ჰაუსჰოფერმა სწორედ ამ ჟურნალში გამოაქვეყნა. ჰაუსჰოფერი ჟურნალს 20 წლის განმავლობაში - 1944 წლამდე ხელმძღვანელობდა (ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორი იყო კურტ ვოვინკელი).

ჟურნალის გარშემო, გარდა სარედაქციო საბჭოსი, ჩამოყალიბდა ავტორთა წრეც. „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ გამოცემის 20 წლის მანძილზე მასში გამოქვეყნდა 600-ზე მეტი ავტორის სტატია. მათ შორის დაახლოებით 200 ადამიანმა გამოაქვეყნა 2 სტატიაზე მეტი, ხოლო 42 ავტორმა - 4 სტატიაზე მეტი (Рукавицын П.М.).

[1] ოტო მაულმა 1925 წლის დასაწყისში ჟურნალის სარედაქციო საბჭოში შეცვალა ფ. ტერმერი

„გეოპოლიტიკური ჟურნალის“ პირველი ნომერი 1924 წლის იანვარში გამოვიდა. ჟურნალის გამოცემამ გაზარდა საზოგადოების ინტერესი გეოპოლიტიკისადმი, ისევე როგორც მნიშვნელოვანი სტიმული იყო გეოპოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის. ჟურნალში არა მხოლოდ სტატიები ქვეყნდებოდა, არამედ მიმდინარეობდა ფართო დისკუსიაც გეოპოლიტიკის საკითხებზე.

„გეოპოლიტიკური ჟურნალის“ ტირაჟი ზოგჯერ 8 ათასს აღწევდა. ჟურნალის ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის ფარგლებს გარეთაც გადიოდა. მრავალი თანამედროვე თვლიდა, რომ იმდროინდელ გერმანულ გამოცემებიდან უცხოურ აუდიტორიაზე ყველაზე დიდ გავლენას სწორედ „გეოპოლიტიკური ჟურნალი“ ახდენდა.

1924 წელს ასევე შეიქმნა „გეოპოლიტიკური საზოგადოება", რომელსაც სათავეში ჩაუდგა **ადოლფ გრაბოვსკი.** შეიმუშავეს საზოგადოების წესდებაც. ამრიგად, ჯერ კიდევ ვეიმარის რესპუბლიკის პერიოდის გერმანიაში შეიქმნა გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრი.

გეოპოლიტიკური კვლევების პროგრამა

1927 წელს „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოში კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა. ამის მიზეზი იყო კურტ ვოვინკელის მოქმედება, რომელიც სარედაქციო საბჭოს წევრებთან შეუთანხმებლად სულ უფრო ხშირად აქვეყნებდა სხვადასხვა ავტორების სტატიებს. კომპრომისებისადმი განწყობილ კარლ ჰაუსჰოფერს ეს დიდად არ აღელვებდა, ე. ობსტი და გ. ლაუტენზახი კი აღშფოთებული იყვნენ. 1927 წლის ნოემბერში ე. ობსტმა ვოვინკელს ბრალი დასდო დაბალი სამეცნიერო დონის სტატიების გამოქვეყნებაში და ჟურნალის დონის დაცემაში.

1928 წელს ტაიბნერის გამომცემლობაში გამოქვეყნდა გეოგრაფიის პროფესორის რიჰარდ ჰენინგის 330-გვერდიანი მონოგრაფია „გეოპოლიტიკა. მოძღვრება სახელმწიფოს როგორც ცოცხალი ორგანიზმის შესახებ“. ჰენინგი აღიარებდა ჰაუსჰოფერის ავტორიტეტს, როგორც წამყვანი გერმანელი გეოპოლიტიკოსისას, მაგრამ სოლიდური მონოგრაფიის გამოქვეყნების ფაქტმა, რომელსაც პრეტენზია ქონდა სისტემურად გადმოეცა სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა გეოპოლიტიკური ანალიზი, უბიძგა კ.ვოვინკელს დაეჩქარებინა კოლექტიური მონოგრაფიის გამოცემა. ვოვინკელის აზრით, ამ მონოგრაფიის ავტორები ის გეოპოლიტიკოსები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც მის გამომცემლობასთან თანამშრომლობდნენ. ეს უნდა ყოფილიყო სტატიათა კრებული, როგორც უკვე გამოქვეყნებული, ისე სპეციალურად ამ კრებუ-

ლისთვის მომზადებული კ.ჰაუსჰოფერის, გ.ლაუტენზახის, ო.მაულის და ე.ობსტის ნაშრომებისაგან.

გეოპოლიტიკური იდეების მიზანმიმართული პროპაგანდისათვის 1928 წელს კრებულში „გეოპოლიტიკის ელემენტები" ჩამოაყალიბეს ექვსი პუნქტისაგან შემდგარი გეოპოლიტიკური პროგრამა:

1. გეოპოლიტიკა არის მოძღვრება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური მოვლენები მიწაზე არიან დამოკიდებულნი;

2. გეოპოლიტიკა ემყარება გეოგრაფიის და, განსაკუთრებით, პოლიტიკური გეოგრაფიის ფართო საძირკველს. პოლიტიკური გეოგრაფია არის მოძღვრება პოლიტიკური სივრცითი ორგანიზმებისა და მათი სტრუქტურის შესახებ;

3. მიწიერი სივრცეების არსი, რომელსაც გეოგრაფია სწვდება, გეოპოლიტიკას აძლევს იმ ფარგლებს, რომლის შიგნითაც უნდა მიმდინარეობდეს პოლიტიკური მოვლენები, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას ხანგრძლივი წარმატება. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ცხოვრების მატარებელნი ზოგჯერ გამოდიან ამ ფარგლებიდან, მაგრამ ადრე თუ გვიან მიწასთან დამოკიდებულება კვლავ და კვლავ იქნება საგრძნობი.

4. ამ სულისკვეთებით გაგებული გეოპოლიტიკა ესწრაფვის შექმნას იარაღი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და მიუთითოს გზა პოლიტიკურ ცხოვრებაში;

5. ამით გეოპოლიტიკა ხდება ხელოვნების თეორია, რომელსაც უნარი აქვს პრაქტიკული პოლიტიკა წარმართოს იმ ადგილამდე, სადაც აუცილებელია მყარი ნიადაგიდან მოწყვეტა. მხოლოდ ასე შეიძლება ცოდნიდან უნარისაკენ ნახტომის განხორციელება;

6. გეოპოლიტიკა ესწრაფვის და უნდა გახდეს სახელმწიფოს გეოგრაფიული სინდისი.

ამ უკანასკნელ თეზისში იგულისხმებოდა, რომ გეოპოლიტიკური თეორიები უნდა გამოცხადებულიყო ოფიციალურ მეცნიერებად სახელმწიფოს შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო საშუალებათა გამოყენებით გავრცელებულიყო ხალხში, ისწავლებოდეს სკოლებში.

2.გერმანული გეოპოლიტიკა ნაციზმის სამსახურში

განხეთქილება „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ რედაქციაში

გ.ლაუტენზახი პირველი იყო „გეოპოლიტიკის ელემენტების“ ოთხი ავტორისაგან, რომელიც „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოდან გავიდა, თუმცა აგრძელებდა ჟურნალში სტატიების გამოქვეყნებას. ჟურნალის რედაქციაში არსეული წინააღმდეგობები განხეთქილებამდე მიიყვანა ნაციზმთან დამოკიდებულების საკითხმა.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოდან გ. ლაუტენზახი, ე. ობსტი და ო. მაული, მთლიანობაში, დემოკრატიულ თვალსაზრისზე იდგნენ. ამიტომ მათ აღიზიანებდათ ჟურნალის გამომცემლის კ.ვოვინკელის ნაცისტების მიმართ სიმპატიები. ეს უკანასკნელი კი, რაც უფრო იზრდებოდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოპულარობა, სულ უფრო ნაკლებად მალავდა თავის სიმპატიებს მათ მიმართ. 1931 წლის ოქტომბერში ვოვინკელმა გადაწყვიტა ობსტისა და მაულის განთავისუფლება სარედაქციო საბჭოდან და შესთავაზა კარლ ჰაუსჰოფერს ერთპიროვნულად გაეგრძელებინა ჟურნალის ხელმძღვანელობა. ვოვინკელის უმთავრესი პრეტენზია ის იყო, რომ „გეოპოლიტიკური ჟურნალი“ ახლოს არ იდგა ფაშისტურ მოძრაობასთან. ე.ობსტი და ო.მაული კი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ გეოპოლიტიკის გადაქცევას ნაციზმის ოფიციალურ იდეოლოგიად.

ჰაუსჰოფერმა ჟურნალის რედაქციაში დარჩენა არჩია. ამ დროისათვის ნაციზმი მას წარმოედგინა პოლიტიკურ ძალად, რომელსაც შეეძლო ეფექტურად დაეცვა გერმანიის ეროვნული ინტერესები და დაეძლია ვერსალის ხელშეკრულების მძიმე პირობები. ამიტომ იდეოლოგიური მიზეზები ვოვინკელთან ურთიერთობის გასაწყვეტად მას არ ჰქონია. ვოვინკელის გარეშე კი „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ გამოცემის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა.

ნაციონალ-სოციალიზმის გეოპოლიტიკური დასაბუთება

1933 წელს გერმანიაში ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ცნობილი გეოპოლიტიკოსები გაერთიანდნენ „გეოპოლიტიკის კავშირში", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ესესის ობერფიურერი დოქტორი რიჰარდ ვაგნერი. კავშირმა იმავე წლის აპრილში, ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის საპატივცემულოდ, გამოაქვეყნა სპეციალური მემორანდუმი „გეოპოლიტიკა როგორც ეროვ-

ნული მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ". მასში გეოპოლიტიკა დახასიათებულია როგორც „ნაციონალ-სოციალიზმის მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ" და მოითხოვდნენ გერმანიის ყველა უნივერსიტეტში დაარსებულიყო გეოპოლიტიკის კათედრები. გეოპოლიტიკას ასევე მჭიდრო კავშირი უნდა ქონოდა ნაცისტური პარტიის საგარეოპოლიტიკურ განყოფილებასთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

კურტ ვოვინკელი, გეოპოლიტიკური ჟურნალის გამომცემელი 1936 წელს აღნიშნავდა, რომ გეოპოლიტიკას „თავიდანვე ქონდა კავშირი და იდეებს ცვლიდა ნაციონალ-სოციალიზმთან, რომელმაც უდიდესი გადატრიალება მოახდინა მსოფლმხედველობის სფეროში". გეოპოლიტიკა, მისი განცხადებით, წარმოადგენდა „ამ გადატრიალების რგოლს". თუმცა, 1933 წლამდე ამ კავშირის შესახებ გერმანელი გეოპოლიტიკოსები, როგორც წესი, დუმდნენ.

ნაციონალ-სოციალისტები ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი სოციალიზმი, გეოგრაფიული ფაქტორების სხვაობის გამო, შეიძლება იყოს მხოლოდ „ნაციონალური სოციალიზმი".

გეოპოლიტიკა უპირისპირდებოდა მარქსიზმს, რომლისთვისაც ამოსავალი კლასობრივი ბრძოლის თეორია იყო. გეოპოლიტიკოსთა მტკიცებით, გერმანიის გეოგრაფიული გარემო, აგრეთვე გერმანელი ხალხის რასობრივი თავისებურებანი შესაძლებელს ხდიდა, რომ გერმანელებს, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა, ქონოდათ ერთნაირი შეხედულებები ისტორიაზე და ერთნაირი პოლიტიკური ქცევა. გეოპოლიტიკოსთა აზრით, კლასობრივი ბრძოლის თეორია გარედან იყო მოტანილი და ხელს უშლიდა ერთიანი შეხედულებების დამკვიდრებას.

ის ფაქტი, რომ კარლ ჰაუსჰოფერი არ იყო აშკარად ნაცისტური „გეოპოლიტიკის კავშირის" ხელმძღვანელობაში, გამოიყენება ნაციზმისაგან ჰაუსჰოფერის გასამიჯნავად. თუმცა, ეს ურთიერთობები მჭიდრო ხასიათს ატარებდა.

ნაცისტებისათვის გეოპოლიტიკა, რასობრივ თეორიასთან ერთად, ოფიციალურ იდეოლოგიად იქცა. 1935 წლის მაისში ნაცისტ მასწავლებელთა კავშირის შეკრებაზე აღინიშნა, რომ „გეოპოლიტიკა ნაციონალ-სოციალისტური აღზრდის ერთ-ერთი ქვაკუთხედია" გეოპოლიტიკა გერმანიის ყველა უნივერსიტეტში საგამოცდო საგნად იქცა. 1935 წელს ჰაუსჰოფერმა მოითხოვა გეოპოლიტიკის მასწავლებლებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მეცნიერების ყველა დარგის გეოპოლიტიკური უნიფიკაცია. რასობრივ თეორიასთან ერთად, „გეოპოლიტიკური პრინციპებით" ხელმძღვანელობდა არა მარტო გეოგრაფია, სოციოლოგია და ისტორიოგრაფია, არამედ ეკონომიკა, იურისპრუდენცია, სამხედრო სტრატეგია, მედიცინა და ფსიქოლოგიაც კი. ნაცისტურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინები: „გეოეკონომიკა", „გეორელიგია", „გეოფსიქოლოგია", „გეოსტრატეგია", „გეომედიცინა", და ა.შ.

ჩამოყალიბდა „გეოიურისპრუდენცია", რომელიც ჩელენის მოძღვრების განვითარებას წარმოადგენდა. კელენის თანახმად, „სახელმწიფოს ნამდვილი პრინციპი" უნდა გამხდარიყო „პოლიტიკური მიზანშეწონილობა და არა სამართალი". ადოლფ გრაბოვსკის განსაზღვრებით, გეოიურისპრუდენცია არის „მოძღვრება იმის შესახებ, თუ სამართალი როგორ წარმოიქმნება სივრცის მიერ".

ნაცისტმა პროფესორმა ევალდ ბანზემ კი შექმნა „მეცნიერება ომის შესახებ", რომელიც ბევრი არაფრით არ განსხვავდებოდა გეოპოლიტიკისაგან. აღნიშნული მეცნიერების მიზნებს ბანზე შემდეგნაირად განსაზღვრავდა: "უნდა ხდებოდეს სისტემატური ფსიქოლოგიური ზემოქმედება საკუთარ ხალხზე, რათა ის სამხედრო მზადყოფნაში იყოს და შეეძლოს გაჭირვებათა გადატანა".

აღსანიშნავია, რომ ევალდ ბანზემ უხერხულ მდგომარეობაშიც ჩააყენა გერმანიის ნაცისტური ხელმძღვანელობა. მისი წიგნი „სივრცე და ხალხი მსოფლიო ომის დროს" ინგლისურად ითარგმნა და გამოქვეყნდა სათაურით „გერმანია ომისათვის ემზადება", რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ბრიტანეთში. ნაცისტები იძულებულნი გახდნენ ოფიციალურად გამოეხმაურებინენ ბანზეს წიგნს და მისი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ.

საქმეში ჩაერია ჰიტლერის მთავარი იდეოლოგი ალფრედ როზენბერგი, რომელმაც 1938 წლის მაისში სპეციალური განკარგულება გამოსცა გეოპოლიტიკასთან დაკავშირებით. როზენბერგი მოითხოვდა გეოპოლიტიკის საკითხების დამუშავება ამიერიდან „ღირსეული ადამიანების" ხელში ყოფილიყო და მიუთითებდა, რომ ნაციონალ-სოციალისტური პარტია აღიარებდა მხოლოდ რ.ვაგნერის „გეოპოლიტიკის კავშირს".

გეოპოლიტიკური კვლევების კოორდინაციის მიზნით „გეოპოლიტიკური კავშირის" სათავეში ჩაუყენეს სხვადასხვა უწყებების ხელ-

მძღვანელი 20 ცნობილი გეოპოლიტიკოსი, მათ შორის კარლ ჰაუსჰოფერიც.

სასიცოცხლო სივრცე

მთავარ იდეოლოგიურ ამოცანას, რასაც ანხორციელებდნენ გეოპოლიტიკოსები, გერმანელი ხალხის რევანშისტული სულისკვეთებით აღზრდა იყო. ამის მიღწევის მთავარ საშუალებად გერმანიისათვის „სასიცოცხლო სივრცის" უკმარისობის იდეის პროპაგანდა განიხილებოდა.

„სასიცოცხლო სივრცის" კონცეფციას საფუძვლად ედო ჯერ კიდევ რატცელის მიერ შემუშავებული „გეოგრაფიული ერთიანობის" თეორია, რომელიც „შუა ევროპის" კონცეფციაში გამოიყენებოდა ევროპის რიგი ქვეყნების გაერთიანების დასაბუთებისათვის. ნაცისტური აგრესიული გეგმების შესაბამისად კი „გეოგრაფიული ერთიანობა" გადაიქცა „სასიცოცხლო სივრცედ", რომელიც ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო.

გერმანიის „სასიცოცხლო სივრცედ" ნაცისტების მიერ პირველ რიგში სახელდებოდა საარი, ლოტარინგია და ელზასი, ავსტრია, სუდეტების ოლქი. ამ თვალსაზრისით გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად აღმოსავლეთისაკენ მიუთითებდნენ. აღმოსავლეთის მიმართულებით ექსპანსია „მსოფლიო გონისათვის მოსაწონ საქმედ" მიიჩნეოდა. „გერმანია უნდა შებრუნდეს აღმოსავლეთისკენ". ამის შესახებ „გეოპოლიტიკური ჟურნალი" ჯერ კიდევ 1926 წელს წერდა. ეს მიიჩნეოდა გერმანიის მოვალეობად დასავლეთის წინაშე. იმავე სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „გერმანიის წინაშე აღმოსავლეთის კარების გაღებასთან ერთად, უნდა შექმნილიყო გარანტიები, რომლებიც გამორიცხავენ ყოველგვარ ბრძოლას რეინისათვის, განსაკუთრებით კი ელზასისათვის".

ათი წლის შემდეგ, იმავე ჟურნალის 1936 წლის იანვრის ნომერში აღნიშნული იყო: „აქამდე გერმანიის ისტორია, ყველაზე ფართო აზრით, წარმოადგენდა მოძრაობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის", ახლა კი, თუკი სწორად გვესმის ისტორიის მოწოდება, ის უნდა იქცეს "მოძრაობად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ".

„საბჭოთა კავშირის უფრო პასიური კოლოსალური სივრცეები" განიხილებოდა იმპერიალისტური პოლიტიკის ობიექტის სახით. 1926 წელს გეოპოლიტიკური ჟურნალი წერდა: „რომანული ხალხები და გერმანელები რუსეთს განიხილავენ მომავალი კოლონიის სახით... თუ

ნაჭერი ძალზედ დიდია ერთისათვის, მაშინ მას გავლენის ზონებად ყოფენ... ყოველ შემთხვევაში, რუსეთი შედის თავისი ისტორიის ახალ სტადიაში, იგი კოლონიურ ქვეყნად იქცევა".

1927 წელს პროფესორი ჰენინგი წერდა: „გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ამჟამად, იტალია და გერმანია, უეჭველია, განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული: ორივე იტანჯება ჭარბმოსახლეობის ერთი და იმავე პრობლემისაგან, ერთნაირად მართლზომიერი კოლონიური შიმშილისაგან. იაპონიამაც უნდა იპოვოს თავისი ადგილი ამ კავშირში".

3. გერმანული გეოპოლიტიკა ნაციზმის გარეშე

ადოლფ გრაბოვსკი

ადოლფ გრაბოვსკი გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის განცალკევებით იდგა „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ გარშემო შეკრებილი გეოპოლიტიკოსებისაგან. გრაბოვსკის გეოპოლიტიკური შეხედულებების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ გეოპოლიტიკას მიიჩნევდა მხოლოდ მეცნიერული, პირველ რიგში პოლიტიკური კვლევის მეთოდად.

დანარჩენი გეოპოლიტიკოსებისგან განსხვავებით, რომლებიც პოლიტიკური გეოგრაფიის და გეოპოლიტიკის გამიჯვნით იყვნენ დაკავებულნი, გრაბოვსკი ხაზგასმით მიუთითებდა გეოპოლიტიკის კავშირს პოლიტიკურ მეცნიერებასთან: „ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მეცნიერული თვალსაზრისით გეოპოლიტიკა მიეკუთვნება მოძღვრებას პოლიტიკური კვლევის მეთოდების შესახებ“.

1933 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სივრცე როგორც ბედი. გეოპოლიტიკის პრობლემა“ გრაბოვსკი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გეოპოლიტიკა გვესმის როგორც კვლევის მეთოდი შეუძლებელი ხდება მისი ბოროტად გამოყენება იმ მიზნებისთვის, რომელთაც მეცნიერებასთან არა აქვთ კავშირი. გრაბოვსკის თქმით, „გეოპოლიტიკა გამოგონებული იქნა პრაქტიკული პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე. ისევე როგორც სტატისტიკის მეშვეობით, გეოპოლიტიკის მეშვეობითაც შეიძლება, ალბათ, ყველაფრის დასაბუთება“.

გეოპოლიტიკის სფეროში „ნაცისტური წესრიგის" დამყარებამ დააზარალა ადოლფ გრაბოვსკი, რომელიც 1924 წლიდან ბერლინის

უმაღლეს პოლიტიკურ სკოლაში ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ გეოპოლიტიკურ სემინარს. 1933 წელს სემინარის ხელმძღვანელობა გადავიდა კარლ ჰაუსჰოფერის შვილის - ალბრეხტის ხელში.

გრაბოვსკი, რომლის შეხედულებებიც განსხვავდებოდა ჰაუსჰოფერისაგან, იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო შვეიცარიაში. 1939 წლის 1 ივნისს ეს სემინარი "გეოპოლიტიკურ ინსტიტუტად" გადაკეთდა, რომლის დირექტორადაც ალბრეხტ ჰაუსჰოფერი დაინიშნა. იმავდროულად ის იყო ბერლინის უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ქვეყნების შემსწავლელი ფაკულტეტის ხელმძღვანელი.

ერიხ ობსტი

საქართველო: გეოპოლიტიკური ნარკვევი

ერიხ ობსტი საქართველოს გეოპოლიტიკის შესახებ

ერიხ ობსტი ცნობილი გერმანელი გეოპოლიტიკოსია, რომელმაც 1920-30-იან წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ფორმირებაში. ობსტი იყო „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ჟურნალის სარედაქციო საბჭოში მისმა რედაქტორმა კარლ ჰაუსჰოფერმა პირადად მიიწვია ჰანოვერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე ერიხ ობსტი. თუმცა, შემდგომში მათი გზები გაიყარა.[2]

[2] „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოდან გ. ლაუტენზახი, ე. ობსტი და ო. მაული, მთლიანობაში, დემოკრატიულ თვალსაზრისზე იდგნენ.

ერიხ ობსტი საქართველოში 1924 წლის შემოდგომაზე, აგვისტოს აჯანყების შემდეგ იმყოფებოდა და მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა აქ არსებულმა ვითარებამ. იმავე წლის დეკემბერში, ახლად დაფუძნებულ „გეოპოლიტიკურ ჟურნალში“ მან დაბეჭდა სტატია „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“. ერიხ ობსტის აღნიშნული სტატია 1964 წელს ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ «კავკასიონში“.

სტატიაში ობსტი შეეცადა წარმოეჩინა 1924 წლის აჯანყების მიზეზები და მამოძრავებელი ძალები. ამისათვის კი აუცილებლად მიაჩნდა საქართველოს გეოპოლიტიკაში გარკვევა. „ამ საკითხის დასმა ნიშნავს, ამ საოცარი ქვეყნის გეოპოლიტიკური აღნაგობა გამოიკვლიოთ“, - აღნიშნავდა ობსტი.

საქართველო - ქართველთა საცხოვრებელი სივრცე

ერიხ ობსტის დახასიათებით „საქართვე“,ლოს საცხოვრებელი სივრცე არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის ერთი მთლიანი და ერთიანი“ და ჩამოთვლის მის შემადგენელ ნაწილებს: „მთიანი ადგილი ზემო მტკვრისა (ქართლი); მთიანი კახეთი ალაზნის ველითურთ და მის პარალელურ იორის ხეობასთან ერთად; კავკასიის შიგანი ნაწილი რიონის მხარისა მთავარი ქალაქით ქუთაისი (იმერეთი); და ბოლოს შავი ზღვის სანაპირო - აბხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, რომელსაც მონღოლების შემოსევამდე ლაზისტანიც ეკუთვნოდა“.

ობსტის აზრით „ქართული საცხოვრებელი სივრცის ტოპოგრაფიულ-კლიმატური სხვადასხვაობა იმით მცირდებოდა, რომ მთელი საქარ-

---

ამიტომ მათ აღიზიანებდათ ჟურნალის გამომცემლის კ. ვოვინკელის პრონაცისტური სიმპატიები. ეს უკანასკნელი კი, რაც უფრო იზრდებოდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოპულარობა, სულ უფრო ნაკლებად მალავდა თავის სიმპატიებს მათ მიმართ. 1931 წლის ოქტომბერში ვოვინკელმა გადაწყვიტა ობსტისა და მაულის განთავისუფლება სარედაქციო საბჭოდან და კარლ ჰაუსჰოფერს შესთავაზა ერთპიროვნულად გაეგრძელებინა ჟურნალის რედაქტირება. ვოვინკელის უმთავრესი პრეტენზია ის იყო, რომ „გეოპოლიტიკური ჟურნალი“ ახლოს არ იდგა ნაცისტურ მოძრაობასთან. ე. ობსტი და ო. მაული არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ გეოპოლიტიკის გადაქცევას ნაციზმის ოფიციალურ იდეოლოგიად. ჰაუსჰოფერმა ჟურნალის რედაქციაში დარჩენა არჩია და არ გაუპროტესტებია ვოვინკელის აღნიშნული ნაბიჯი.

თველო ერთ განსაკუთრებულ და მყარ გეოპოლიტიკურ ძალთა ველზე იმყოფებოდა“.

ობსტი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიის სამ მთავარ ხალხს ისტორიულად მკაფიოდ გამოკვეთილი საცხოვრებელი სივრცე ჰქონდა, მაგრამ ისტორიულ განვითარებას ერთა გარკვეული შერევა მოჰყვა. „თავდაპირველად ეს სამი მთავარი ხალხი - ქართველები, სომხები და თურქო-თათრები - ცხოვრობდნენ განცალკევებულად; თვითეულის ცალკეული საცხოვრებელი სივრცე, როგორც მთლიანობა, დიახაც ინდივიდუალური იყო და თვითეული მეზობელი ბუნებრივად საზღვრებ შემოვლებული იყო. მაგრამ ისტორიულმა განვითარებამ ყოველ შემთხვევაში ის მოიტანა, რომ ნაწილნი ერთი ერისა მეორე ერის საცხოვრებელ სივრცეში შეიჭრენ და იქ დასახლდნენ“, - წერს ობსტი.

ობსტის დახასიათებით, მიუხედავად მეზობელ ხალხთა განსახლებისა ქართველთა საცხოვრებელ სივრცის ნაწილში, ქართველები მას მაინც თავიანთ საცხოვრებელ სივრცედ მიიჩნევენ. „აიხედავს სომხეთის მთებისაკენ, თუ გაიხედავს აზერბაიჯანის სტეპური მინდვრებისაკენ, ქართველი მას სთვლის მკაცრად მოსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილად, რაც მეზობელთა მიერ სავსებით გადასხვაფერებულა“, - აღნიშნავს ობსტი.

საქართველო როგორც გეოპოლიტიკურ ძალთა ველი

ერიხ ობსტი აღნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ოთხი მხრიდან უტევდნენ დამპყრობლები, რომლებიც ცდილობდნენ „კავკასია თავისთვის დაეწარჩუნებინათ“. მისი დახასიათებით, ეს იყო საქართველოს „ტიპიური გეოპოლიტიკური სახე“. ერიხ ობსტი მოკლედ აღწერს თუ როგორ იბრძოდა საქართველო საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ეს აღწერაა სტატიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ის რაიმე სიახლეს არ შეიცავს ქართველი მკითხველისათვის, პირიქით, უზუსტობებსაც იპოვნის, მაგრამ ამ ფაქტების გააზრება მნიშვნელოვანი იყო თავად ერიხ ობსტისთვის და ევროპელი მკითხველისთის, ვისთვისაც განკუთვნილი იყო სტატია.

„საქართველოს ყოველთვის უნდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა მრავალთა საუკუნეთა გასწვრივ. მტრები ერთი მეორეს სცვლიდნენ და მათთან ერთად იცვლებოდნენ ხოლმე ძალთა დამოკიდებულების ურთიერთობანიც. ხშირად ქვეყანა საუკუნოვან დამონებასაც ვერ ასცდებოდა ხოლმე. მაგრამ ყოველთვის მოულოდნელად ავარდებოდა ხანძარი წმიდა ეროვნული აღტყინებისა, რომლითაც აღფრთოვანდებოდა თანაბა-

რი ვნებიანობით აღგზნებული მთელი ხალხი. მდაბიო გლეხიდან დაწყებული დიდ მემამულემდე და თავადამდე: მონობას სიკვდილი სჯობიაო!“, - აღნიშნავდა ობსტი.

თბილისის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის

ერიხ ობსტის დახასიათებით „ქვეყანას აწვებოდნენ კონცენტრული ძალები და საქართველოს შეეძლო მათთვის გაეძლო მხოლოდ იმით, რომ მან გამონახა თავდამცველი ადგილი, საიდანაც მას შეეძლო საჭიროების ჟამს თითოეული ამ ოთხი მიმართულებით მოწოლილი მტრისათვის როგორმე თანაბრად შეეტია“. ასეთი ადგილი იყო თბილისი.[3]

თბილისს როგორც საქართველოს გეოპოლიტიკურ ცენტრს ნაკლიც ჰქონდა - სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ის ძლზედ ახლოს მდებარეობდა იმ საზღვრებთან, რომლებიც საქართველომ მნელბედობის შედეგად შეინარჩუნა. „ეს ქალაქი ... ძევს მთლიანობის ფარგლებში ექსცენტრიულად, რაც საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურისათვის მძიმე ნაკლს ნიშნავდა“, - აღნიშნავდა ობსტი.

თბილისის როგორც გეოპოლიტიკური ცენტრის ნაკლს ისიც წარმოადგენდა, რომ აქედან ძნელი იყო საქართველოს დასავლეთი ნაწილის დაცვა. „ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთის მიმართ თბილისი იყო მოცემული ბაზისი, მაგრამ დასავლეთის დაცვა თბილისიდან მხოლოდ ძნელად მოსახერხებელი იყო: ამისი შედეგი იყო ხშირი ჩამოტეხა ქვეყნის დასავლეთის ნაწილისა“, - წერდა ამის თაობაზე ობსტი.

საგარეო ორიენტაციის საკითხი საქართველოსთვის

ობსტი აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნეში ავსტრიასა და პრუსიას სთხოვეს დახმარება სპარსთა და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უშედეგოდ. „ყველაფერი მეგობრული სიტყვით გათავდა; მაშინდელი ევროპისათვის საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორს იმყოფებოდა, - წერს ობსტი.

ამავე დროს კი „ველიკორუსულმა ექსპანსიამ კავკასიას მიაღწია“. 1774 წელს რუსეთმა ოსეთი შეიერთა და „ამით რუსები საქართველოს კართან დადგნენ“. ობსტის თქმით, 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე იძ-

[3] ერიხ ობსტ ამ საკითხზე სხვა წერილიც აქვს გამოქვეყნებული, სადაც თბილისის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზეა საუბარი. მოცემულ ნარკვევში კი მოკლედ შენიშნავდა: „როგორც სხვა წერილში გაჩვენეთ, არჩევანი თბილისზე უნდა შეჩერებულიყო“.

ულებული იყო რუსეთის ვასალი გამხდარიყო და ეს იყო „მხოლოდ უკიდურესი საშუალება“. ამით ქართველებს სურდათ „აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფო ... შეენარჩუნებინათ, რათა შესაფერ დროს ჯაჭვები დაემსხვრიათ და კვლავ თავისუფალი გამხდარიყვნენ“.

ობსტი აღნიშნავს, რომ 1795 წელს რუსები შეგნებულად არ დაეხმარნენ ქართველებს სპარსელებთან ბრძოლაში. „რამდენადაც ცუდად წავაო ქართველების საქმე, - ასე ანგარიშობდნენ პეტერბურგში, - იმდენად ისინი იძულებული გახდებიან რუსეთთან დამოკიდებულება უფრო მჭიდროდ დაიკავონო“, - წერს ობსტი. შემდეგ კი მოკლედ გადმოსცემს, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო.

ობსტის დახასიათებით, „ქართველი ველიკოროსების პირისპირ სრულებით უცხო არის, თუ არ ვიტყვით, რომ იგი მათ მიმართ მტერი არის“. როგორც ცარიზმის, ისე ბოლშევიკური რეჟიმი ქართველებისთვის მიუღებელია, ისევე როგორც ბუნებრივია ევროპული ორიენტაცია. „ამგვარი სისტემა გულწრფელი, თვითშეგნებული და რაინდული კაცისათვის - ქართველისათვის - პირდაპირ საზიზღარია; წინააღმდეგ, მისთვის დიდი ზომით, ევროპა არის მიმზიდველი. ევროპიული სახელმწიფოები ქართველს სწორედ კარგად ესმის, რადგან აგრეთვე ევროპაში თითოეული ერი, ცოტად თუ ბევრად ბუნებრივ საზღვრებით შემოფარგლულ საცხოვრებელ სივრცეში მოქმედებს და მუშაობს. ევროპიულ ხალხებს ქართველი სულიერ ნათესავად გრძნობს, ვინაიდან ამ ხალხებმა გადასდგეს ბედის გადამწყვეტი ნაბიჯი. როდესაც მისტიურ-რელიგიური კოლექტივიზმიდან ეროვნულ-ინტელექტუალურ ინდივიდუალიზმში შევიდნენ, გარკვეული ადამიანური გრძნობებიდან მტკიცე ეროვნულ შეგნებაზე გადავიდნენ. აბსოლუტური ერთმმართველობის ნაცვლად ლიბერალური წესის სახელმწიფო დაამყარეს“, - აღნიშნავს ობსტი.

რელიგია როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორი

ერიხ ობსტი განიხილავს რელიგიის როლს სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის. მისი დახასიათებით, „მაჰმადიანისათვის ისლამი არის სანაცვლო იმისა, რაც არა-მაჰმადიანისათვის ეროვნულ გრძნობას ნიშნავს“ და ამ აზრით, „თამამად შეიძლება აზერბაიჯანის თურქ-თათართა მტკიცედ გამოსახულ ეროვნულ გრძნობაზე ლაპარაკი“.

სომეხთა რელიგიურობაც უდავოდ ეროვნულ სახეს ატარებს. ობსტის თქმით, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია „ნაციონალიზმის სიმბოლოდ არის გადაქცეული“.

ობსტის აზრით, ასე არ არია ქართველების შემთხვევაში და მათთვის „რელიგიას გადაწყვეტით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება“. ამის მიზეზად მიაჩნია ის, რომ „საქართველოში ეკლესიას ასი წელიწადია საკუთარი დამოუკიდებლობა აღარ ჰქონია და მისი მთავარი (რუსეთის) მეფის მიერ იყო ხოლმე დანიშნული და იგი ხშირად გარუსების პოლიტიკის დასაყრდენს წარმოადგენდა“. შედეგად „ეკლესია ქართველისათვის უცხო გახდა“.

ამავე დროს კომუნისტების ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და ანტირელიგიური პროპაგანდა „დიდ გამწარებას იწვევს საქართველოში, თვით ნაკლებად რელიგიურ პირთა გულშიც“.

ობსტი ეხება იმ მძიმე შედეგებსაც, რაც საქართველოს ისლამიზაციამ მოუტანა. „შემოჭრა ისლამისა შეიძლება უფრო უარესი იყო ვიდრე თავისთავად უცხო ბატონობა, რადგან მთელს აღმოსავლეთში, და ასე აღსრულდა ეს დასავლეთ საქართველოშიც, რელიგია უმტკიცესად მოქმედობს, ვიდრე სისხლით ნათესავობა, ვიდრე სახელმწიფო ქვითკირი. გაისლამებული ლაზები და აჭარლები, თუმცა სისხლით და ენით წმინდა ქართველები არიან, ნელ-ნელა დაიკარგნენ ქართული სახელმწიფოსათვის“, - წერდა ობსტი. მისი თქმით, ქართველმა მუსლიმებმა „თავისი ბედი ... სავსებით დაუკავშირეს თურქებისას და ყოველი შემთხვევითაც სარგებლობდნენ, რათა თავისი ხალხის ძველ თანაწევრთათვის დაბრკოლებები შეექმნათ - ცდილობდნენ, სადაც შესაძლებელი იყო, თურქულ სახელმწიფოში მოქცეულიყვნენ. ლაზებმა ამ მიზანს უკვე მიაღწიეს; აჭარლებს უახლოეს დროში უნდა მინიჭებოდათ ფართო ავტონომია, რათა ისინი დედა-ქვეყანას შერჩენოდნენ“.

1924 წლის აჯანყების შეფასება

ერიხ ობსტი დაწვრილებით ჩერდება 1924 წლის აჯანყების დახასიათებაზე, რადგანაც იმ დროისათვის (1924 წლის ბოლოს) მრავალი ტყუილ მართალი ვრცელდებოდა აჯანყების თაობაზე. ბოლშევიკები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო „ცდა, სასოწარკვეთილი ბრძოლა ქართველ თავადაზნაურთა კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათი დიდი მამულები გაანაწილა და გლეხებს გადასცა“. ქართული ემიგრანტული წრეები კი შეეცადნენ „საქართველოს აჯანყება მთლიან კავკასიურ რევოლუციად გაესაღებინათ“.

ობსტი, რომელიც აჯანყების შემდეგ საქართველოში იმყოფებოდა, კარგად გაეცნო სიტუაციას და აღნიშნავდა, რომ ეს იყო ქართული, ეროვ-

ნული აჯანყება. არათუ სომხეთსა და აზერბაიჯანში არანაირი გამოსვლები არ ყოფილა, არამედ „სომხები თბილისში, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, სრულიადაც არ ფიქრობდნენ, აჯანყებულებს შეერთებოდნენ და შფოთის ცეცხლი ქვეყნის მთავარ ქალაქში აეგიზგიზებინათ“.

ობსტი აღნიშნავს, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, „არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული“. 1924 წლის აჯანყება არ ყოფილა თავადაზნაურობის ან სამღვდელოების მიერ ორგანიზებული გამოსვლა, როგორც ამას წარმოადგენდნენ ბოლშევიკები. „ქართველმა ინტელიგენციამ 1924 წლის ზაფხულში, გლეხებთან და მუშებთან ერთად იარაღს ხელი სტაცა - ჩაიდინეს ეს მათ სამშობლოს მიმართ წმიდა და თავდადებული სიყვარულის გამო. მათ მიმართეს ამ უკიდურესობას იმ შეგნებით, რომ სხვაგვარად, მთელი ქართველი ხალხის მიერ მღვივედ ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მიუღწეველი არისო“, - წერს ობსტი.

ობსტი აღნიშნავს, რომ საქართველო არ დაივიწყებს 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულ თავის გმირებს, რომელთაც ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ. მისი თქმით, „ქართველი ხალხის ძალიან დიდი უმრავლესობისათვის ეროვნული შეგნება, მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისაკენ დაუსრულებლივ უფრო მტკიცე არის“ და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მომავალში საქართველოში კვლავ შეიძლება მოხდეს აჯანყება. „ქართველი ხალხის ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ, რათა მან კვლავ იხილოს ხანა დავით მეოთხისა და თამარისა, გამოიყვანა რევოლუციონერები 1924 წელს საბრძოლველად. უეჭველია, ეს არ იქნება უკანასკნელი“, - წერს სტატიის ბოლოს ობსტი.

აღსანიშნავია, რომ სტატიის ქართულად მთარგმნელი ემიჯნება აჯანყების იდეას და თვლის, რომ აჯანყება „არც დღეს და არც მომავალში ... გამოსადეგი არაა და კიდევ მეტი: - საზიანოც, დამღუპველი“. მთარგმნელის თქმით, საქართველო რუსეთის ბატონობისგან უეჭველად განთავისუფლდება, ოღონდ არა აჯანყების გზით. „საქართველო, ეჭვი არ გვაქვს, რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდება, მაგრამ არა აჯანყებით, არამედ თვით საბჭოთა კავშირში შექმნილ და საერთაშორისო ვითარებათა შედეგად, და თვითონ ქართველი ხალხის თანამონაწილეობითაც“,- აღნიშნავდა ობსტის სტატიის ქართულად მთარგმნელი 1924 წელს.

ობსტის სტატია ერთ-ერთი პირველია, სადაც იმ დროისათვის ახალი დისციპლინის, გეოპოლიტიკის თვალთახედვით გაანალიზებულია საქართველოს მდგომარეობა და ჩამოყალიბებულია

საქართველოს გეოპოლიტიკის ძირითადი დებულებები, როგორც ეს გერმანელმა გეოპოლიტიკოსმა დაინახა.

1924 წლის შემოდგომაზე პროფ. დრ. ერიხ ობსტ თბილისში იმყოფებოდა; 1924 წელს, დეკემბერს მან დაბეჭდა ცნობილ გერმანულ კრებულში "ცაიტშრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ" შემდეგი წერილი:

იმ დროს, როდესაც ჩვენ თბილისს მივედით, იქ იყო გაბატონებული ღრმა გლოვა, განსაკუთრებით ქალაქის ქართულ ნაწილში. ბევრი დედაკაცი მიმოდიოდა შავ სამოსელში ჩაცმული და მათი სახე მძიმე, მძიმე მწუხარებას ამჟღავნებდა. მამაკაცთა შორის შავი ნიშანი ჩვეულებრივი იყო. მაგრამ ისინი ამ გლოვის ნიშანს ატარებდნენ დიდი სიფრთხილით; ეშინოდათ, ამით საეჭვო პირად არ ჩამთვალონო.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, მას რომ წევრი არ დაჰკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს.

გაუგონარი მძვინვარებით მოსპეს აჯანყება. ოფიციალური სტატისტიკა თუმცა აცხადებს, რამოდენიმე ასი კაცი სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტაო, მაგრამ ვიღას აინტერესებს ეს რიცხვი? შურისმაძიებელ სოლდატესკის ნამდვილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბე-

ჯითებით იცოდნენ, რომ ისინი აჯანყებაში სრულებით არ მონაწილეობდნენ.

როგორ იყო შესაძლებელი ეს აჯანყება? რა იყო ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა ამ მოძრაობისა? ამ საკითხის დასმა ნიშნავს, ამ საოცარი ქვეყნის გეოპოლიტიკური აღნაგობა გამოიკვლიოთ.

* *
*

ველიკორუსული საცხოვრებელი სივრცის არსებას ის ეკუთვნის, რომ მას სხვა ხალხების მიწა-წყლის მიმართ საზღვარი არ გააჩნია. თვით მდინარე ვოლგის შუა და ქვემო ნაწილშიც არ არის ხალხთა გამყოფი იძულებითი ძალა; ცხოვრობენ ხომ, მაგალითად, ყირგიზები და კალმიკები ამ მდინარის ორივე ნაპირზე! ველიკოროსიის, მალოროსიის და უკრაინის და ბელორუსიის შორის რაიმე ბუნებრივ საზღვარზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველა ამ ხალხის ტომების მოსკოვურ დიდ სახელმწიფოში შეკოწიწებას ბუნებრივად ის უნდა გამოეწვია, რომ რუსს თავისი სახელმწიფო არსებითად უნდა წარმოედგინა როგორც ზე, ან საერთაშორისო კავშირი. თვით შოვინისტური ველიკოროსი ვერ ასცდება იმ მოვლენას, რომ მისი სახელმწიფოს უზარმაზარ სივრცეზე დასადგურებულია მრავალი ერი, რომელთა შორის არავითარი ბუნებრივი საზღვარი არ მოიპოვება; ისინი თავისი ურთიერთობისათვის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი იყვნენ და ურთიერთ დახმარებაზე დამოკიდებული შეიქმნენ. ალბათ მაინც ოცნებობდა ეს ველიკორუსი ერთ ეროვნულ სახელმწიფოზე და იგი წარმოედგინა ველიკოროსიის მიერ დანარჩენი ერების უხეშ დამონებად; მაგრამ დინჯი ჩაფიქრების შედეგად, მას ის გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რომ მისი სახელმწიფო იყო ერთა - შორისო კავშირი და ასეც დარჩა. - ამას ზედ ერთვის ღრმა რელიგიური მიდგომა, რაც რუსი ხალხისათვის დამახასიათებელია. თვით რევოლუციასაც კი ამაში ცოტა რამ შეუცვლია. ყოველ შემთხვევაში მან რუსულ ეკლესიას მძლავრად დაარტყა, მაგრამ ადამიანთა რელიგიურობა მან ვერ ჩაჰკლა. მიუხედავად მრავალი მუქარიანი დეკრეტისა. ამ რელიგიურობას ყოველი ცალკე პიროვნება მასსაში შეჰყავს და ყოველდღიურად აჩვენებს მას რომ იგი არსებითად როგორც ერთი წევრი მრევლისა თავის ღირებულებასა ფლობს. პოლიტიკური მიმართულებით კი რუსი ადამიანის ეს რელიგიურობა ორი მხრით მოქმედებს. სანამ ასე რჩება, რუსის ხალხი ყოველთვის, შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე, კმაყოფილი იქნება და როგორც უპიროვნო, არაპიროვნული მასსა დამონებულია თვითმპყრობელობით, იქნება ეს ცარისტული თუ

ლენინური, - სულ ერთია... რუსთა რელიგიურ-კოლექტიურ განწყობილებას რუსი ბუნებრივად იქით მიჰყავს, რომ იგი თვითეულ ადამიანში, მიუხედავად ამისი ეროვნებისა და მოდგმისა, პირველ ყოვლისა ხედავს უუდიდეს და ვეებერთელა, ყოვლის შემცველი მრევლის, კაცობრიობის ერთ წევრს; ამიტომ გულ-ვიწრო ნაციონალიზმს რუსი კაცის სულში ადგილი არა აქვს. - ამ ფაქტში მე ვხედავ იმ ძირითად მოვლენას, რაც არის რუსულ წრეთა ინტერნაციონალური მიდრეკილება, კაცობრიობის მშვიდობიანობისათვის ოცნება და საერთო მსოფლიო გაბედნიერება, - შეხედულებანი, რომელნიც რუსის ხალხს აგრეთვე კომუნიზმის ხანაშიც ძლიერად იმორჩილებენ.

* *
*

კავკასიაში საქმენი სხვაგვარნი არიან. უწინარეს ყოვლისა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აქ რელიგიურობა სავსებით სხვა ხასიათს ატარებს. მაჰმადიანისათვის ისლამი არის სანაცვლო იმისა, რაც არა-მაჰმადიანისათვის ეროვნულ გრძნობას ნიშნავს. ყველას, ვისაც წინასწარმეტყველის (მაჰმადის) რელიგია აღიარებული აქვს, უდავოა, იგი მას გულწრფელად თავის ძმად სახავს; თვითეული გიაური კი (არა-მაჰმადიანი) მისთვის არის მტერი, რომელთანაც ერთობა უბრალოდაც არ შეიძლება დამყარდეს. სადაც მაჰმადიანები და არა-მაჰმადიანები ერთი მეორის მოსაზღვრე არიან, პირველნი ამ რელიგიურ დაპირისპირებას ყოველთვის, როგორც ეროვნულ გრძნობას განიცდიან. ამ აზრით, თამამად შეიძლება აზერბაიჯანის თურქ-თათართა მტკიცედ გამოსახულ ეროვნულ გრძნობაზე ლაპარაკი.

* *
*

სომეხთა რელიგიურობაც უდავოდ ეროვნულ სახეს ატარებს. თუ სომეხი გულითადად თავისი ქვეყნის სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წევრად თავს აღიარებს, - ეს პირველად ყოვლისა იმიტომ, რომ სომხური სახალხო ეკლესია მისთვის ნიშნავს ძველი უზენაესობის უკანასკნელ მემკვიდრეობას და - ეს ეკლესია, ნაციონალიზმის სიმბოლოდ არის გადაქცეული. სომხების კათალიკოსი მორწმუნეთათვის არის პატივცემული აგრეთვე მსგავსად სახელმწიფოს მმართველის მოადგილისა (მეფისა); იგი არის დღევანდელი მოადგილე იმისა, ვინც კვლავ, უეჭველი იმედით, მომავალში ქვეყნის პატრონი გახდება.

* *
*

ბოლოს, ქართველთა შორის რელიგიას გადაწყვეტით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. რომ თვითეული ქართველი რელიგიურ მრევლში გაითქვიფოს, ყოველ შემთხვევაში ამ ჟამად, ამაზე ლაპარაკიც მეტია. დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ საქართველოში ეკლესიას ასი წელიწადია საკუთარი დამოუკიდებლობა აღარ ჰქონია და მისი მთავარი (რუსეთის) მეფის მიერ იყო ხოლმე დანიშნული და იგი ხშირად გარუსების პოლიტიკის დასაყრდენს წარმოადგენდა. არა ნაკლებად ამის გამო ეკლესია ქართველისათვის უცხო გახდა და უფრო არა-რელიგიურ ინდივიდუალიზმში მოექცა იგი. - აგრეთვე გარემოცულობამ უეჭველია დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ყოველგვარი ინტერნაციონალიზმი კავკასიიდან შორს ყოფილიყო.

* *
*

თავდაპირველად ეს სამი მთავარი ხალხი - ქართველები, სომხები და თურქო-თათრები - ცხოვრობდნენ განცალკევებულად; თვითეულის ცალკეული საცხოვრებელი სივრცე, როგორც მთლიანობა, დიახაც ინდივიდუალური იყო და თვითეული მეზობელი ბუნებრივად საზღვრებ შემოვლებული იყო. მაგრამ ისტორიულმა განვითარებამ ყოველ შემთხვევაში ის მოიტანა, რომ ნაწილნი ერთი ერისა მეორე ერის საცხოვრებელ სივრცეში შეიჭრენ და იქ დასახლდნენ. დღესაც კიდევ ქართველი გადასცქერის თავის ქვეყანას იმ შეგნებით, რომ ეს სწორედ მისი საცხოვრებელი სივრცე არის; აიხედავს სომხეთის მთებისაკენ, თუ გაიხედავს აზერბაიჯანის სტეპური მინდვრებისაკენ, ქართველი მას სთვლის მკაცრად მოსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილად, რაც მეზობელთა მიერ სავსებით გადასხვაფერებულა.

ყველა ამის შემდეგ გავიგებთ, რომ ქართველი ველიკოროსების პირისპირ სრულებით უცხო არის, თუ არ ვიტყვით, რომ იგი მათ მიმართ მტერი არის. რუსის ხალხის ფართო მასსებს ქართველი ისე განიცდის, როგორც სარკის სწორ სურათს, რომელიც დაუსრულებელ სიშორეს - ცალიერ და არაფრის მეტყველ ერთსახეობას აჩვენებს, რაც ყველაფერში და ცალკეულში კავკასიური მიწა-წყალის ძალსა და სიმაგრის მკვეთრ წინააღმდეგობას წარმოადგენს. რუსის ლბილად თავის მოდრეკა, ბედზე უსიტყვოდ დამორჩილება, უნებისყოფო დამონება თვითეულისა, გათქვეფა უპიროვნო მასსაში, ინტერნაციონალიზმზე ჩამოკიდება და სხვა, - ყველა-

ფერი ეს ქართველისათვის, ყოველ შემთხვევაში, სრულიად გაუგებარია და მას არც შეუძლია ეს მიიღოს. არსებითად უცხოა ქართველისათვის აგრეთვე ის ზედაფენა, რომელიც რელიგიურად შეპყრობილ ამ რუსულ მასსაზე ბატონობს. ცარიზმსა და ლენინიზმს შორის ქართველი ვერავითარ საგრძნობ განსხვავებას ვერ პოულობს: იგივე დამონება ხალხისა, როგორც მაშინ, ისე ახლა; იგივე მხეცობა და ჯაშუშობა; იგივე ხეპრობა ზოგ პირთა და დამქაშ ჯგუფთა, რომელნიც უხეში ძალადობით სხვაგვარად მოაზროვნეთა უმრავლესობას კრინტს არ აძვრევინებს. ამგვარი სისტემა გულწრფელი, თვითშეგნებული და რაინდული კაცისათვის - ქართველისათვის - პირდაპირ საზიზღარია; წინააღმდეგ, მისთვის დიდი ზომით, ევროპა არის მიმზიდველი. ევროპიული სახელმწიფოები ქართველს სწორედ კარგად ესმის, რადგან აგრეთვე ევროპაში თითოეული ერი, ცოტად თუ ბევრად ბუნებრივ საზღვრებით შემოფარგლულ საცხოვრებელ სივრცეში მოქმედებს და მუშაობს. ევროპიულ ხალხებს ქართველი სულიერ ნათესავად გრძნობს, ვინაიდან ამ ხალხებმა გადასდგეს ბედის გადამწყვეტი ნაბიჯი. როდესაც მისტიურ-რელიგიური კოლექტივიზმიდან ეროვნულ-ინტელექტუალურ ინდივიდუალიზმში შევიდნენ, გარკვეული ადამიანური გრძნობებიდან მტკიცე ეროვნულ შეგნებაზე გადავიდნენ. აბსოლუტური ერთმმართველობის ნაცვლად ლიბერალური წესის სახელმწიფო დაამყარეს.

* *
*

წინააღმდეგობა ქართველთა და რუსთა შორის თავის მყარ პოლიტიკურ განსხვავებას, უეჭველია, სახელმწიფოს ცნების, მისი გაგების განსხვავებაში ნახულობს. იქნებ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების არეში ინტერნაციონალური აზროვნება მაგრადაც ძირგადგმული იყოს, მაგრამ აქ, საქართველოში თითქმის ყოველი არის ეროვნულად გაჟღენთილი ძვლებამდე. რასაკვირველია, ქართულ ეროვნულად და ამიტომაც მოსკოვური რუსეთიდან ჩამოშორების გრძნობა იოლად გასაგებია. ტყუილად არ მითხრა მოსკოვში საგარეო სამინისტროს ერთმა მაღალმა მოხელემ, როცა მას საქართველოს შესახებ ჩემი შთაბეჭდილებანი გავუზიარე: თქვენ ბევრი რამ სწორად შეგინიშნავთ, პატივცემულო ბატონო პროფესორო, იქ ხალხი სხვა განსაკუთრებული წესის არის და ხშირად ჩვენ, ქართველები სერიოზულად საქმეს გვიჭირვებენ. მაგრამ, შეხედეთ, ყველა სახელმწიფოს ჰყავსო თავისი ბავარია.

* *
*

რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1924 წელს გაზაფხულში მომხდარი აჯანყება იყო უმთავრესად ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული.

სხვა და სხვა მხრიდან ახლა ცდილობენ მომხდარი ამბავი ცუდად წარმოადგინონ; მაგრამ ძნელი არ არის ყველა ეს ტენდენციური ცნობა უარვყოთ. ქართულ სამღვდელოებას, მაგალითად, აჯანყებასთან საქმე არა ჰქონია. უეჭველია, ხშირად მეტად საძაგელი და უგემური საშუალებებით წარმოებული ანტირელიგიური პროპაგანდა კომუნისტებისა დიდ გამწარებას იწვევს საქართველოში, თვით ნაკლებად რელიგიურ პირთა გულშიც. უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა პოლიტიკოსები თავგამოდებით ებრძვიან ეკლესიასა და რელიგიას საერთოდ, სადაც მათი გავლენა მასსებზე ამათ რელიგიურ მიმართულებასთან ერთად სდგას და ეცემა. ხალხს, რომელსაც კაციდან კაცამდე დამაკავშირებელი რელიგიური ურთიერთობა წაერთმევა და ამავე დროს მას მაგარი რაციონალურ-ინტელექტუალური წრთვნა ძალით თავზე მოეხვევა, ბოლოს და ბოლოს მას კომუნისტური უმცირესობის დიქტატურა აუტანელი გაუხდება. პირიქით, თან და თან ეს მიაღწევს ინდივიდუალიზმამდე და მის შესაფერისად ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ფორმას გამოიწვევს. ამგვარი კოშკიდან ქართველი უყურებს კომუნისტების ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ. მაგრამ, სხვათა შორის, აქ სასულიერო წოდება მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობისაა, რომ მას შეეძლოს პოლიტიკური მოძრაობა წარმოშვას.

* *
*

საქართველოს აჯანყება 1924 წლისა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიგოთ, როგორც აჯანყება, ვთქვათ, უმუშევართა და ქალაქური პროლეტარიატისა. სწორედ ხშირად კავკასიის დიდ ქალაქთა ეთნიურად ძალიან შერეულ პროლეტარიატს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. არც თბილისს და არც ბათუმს, თუ გავჩუმდებით ერევანსა და ბაქოზე, თავის კედელთ შორის შფოთი არ უნახავთ. - სხვაგვარი ცნობები ევროპიული პრესისა დამყარებულია იმ შეცდომაზე, რაც ქართველმა ემიგრანტებმა პარიზში გაავრცელეს და არც არის გასაკვირველი, რომ შეეცადნენ

ისინი საქართველოს აჯანყება მთლიან კავკასიურ რევოლუციად გაესაღებინათ.

უეჭველია ყალბია ის ცნობები, რაც მოსკოვმა გაავრცელა. ამის მიხედვით, ეს აჯანყება იყო თითქოს აგრარული რევოლუცია, სასოწარკვეთილი ბრძოლა ქართველ თავადაზნაურთა კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათი დიდი მამულები გაანაწილა და გლეხებს გადასცა. შეიძლება ამ დებულებას იმისთვის იყენებენ, რათა დამალონ ის სინამდვილე, რომ თავადაზნაურთა დიდი რიცხვი წითელმა სოლდატესკამ მხეცურად გაჟლიტა. თუმცა ისინი უმოქმედო იყვნენ და აჯანყებაში მონაწილეობის მიუღებლად შინ ისხდნენ. ასეთი ცნობა ჭეშმარიტებას პატივს არ ანიჭებს.

* *
*

არავის არ შეუძლია სერიოზულად იმაზე იდავოს, რომ ეროვნულად აღგზნებულ ინტელიგენციასთან ერთად, პირველად ყოვლისა, საქართველოს აკადემიურ ახალგაზრდობასთან ერთად, ძალიან ბევრი გლეხი და მუშა ღებულობდა მონაწილეობას აჯანყებაში. რა აზრი უნდა ჰქონოდა იმას, რომ, მაგალითად, შავი ქვის მრეწველობის არეში, ჭიათურაში მუშებმა იარაღი ხელთ აიღეს, საბჭოთა მოხელეები დაიჭირეს და სხვა? განა მართლა შეუძლია ვინმეს დაამტკიცოს, რომ ჭიათურის მაღაროს მუშები, ყველანი თავადაზნაურ გვართა მიერ დაქირავებული იყვნენ, რათა მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენათ?

* *
*

ვინც მიუდგომლად, ადგილობრივად, იქ ყველა ცნობა და აღწერა თვალით მნახველისა გასინჯა, მისთვის შეუცვლელად ერთი რამ უეჭველია:

ქართველმა ინტელიგენციამ 1924 წლის ზაფხულში, გლეხებთან და მუშებთან ერთად იარაღს ხელი სტაცა - ჩაიდინეს ეს მათ სამშობლოს მიმართ წმიდა და თავდადებული სიყვარულის გამო. მათ მიმართეს ამ უკიდურესობას იმ შეგნებით, რომ სხვაგვარად, მთელი ქართველი ხალხის მიერ მღვივედ ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მიუღწეველი არისო.

ოღონდ მალე გამოჩნდა, რომ აჯანყებულთა იმედი მომატყუებელი იყო. სომხები თბილისში, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, სრული-

ადაც არ ფიქრობდნენ, აჯანყებულებს შეერთებოდნენ და შფოთის ცეცხლი ქვეყნის მთავარ ქალაქში აეგიზგიზებინათ. ოცნება იმაზე, რომ ევროპული დიდი სახელმწიფოები აჯანყებულთ შემწეობას აღმოუჩენდნენ, სწრაფად ჩაიფუშა; ქართველები იყვნენ და დარჩნენ მარტოხელად; შესული წითელი ჯარისათვის ყველაფერი იოლი იყო; სამოქალაქო ომი ყოველთვის საშინელია, მაგრამ რაც აქ ხდებოდა, ამის აღწერაზე კალამიც კი აიბურძგლება. ერთსა და იმავე მასობრივ სასაფლაოში განისვენებენ ქართველი გლეხები და მუშები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ მოსკოვური უღელისაგან განთავისუფლების ჟამი მოახლოვებულიაო.

რასაკვირველია, ქართველი ხალხი ამ თავის მკვდრებს არ დაივიწყებს, რადგან ისინი მისთვის არიან გმირები, რომლებიც თავის სასიცოცხლო მიზნის ერთგული დარჩნენ სიკვდილამდე. ისინი იყვნენ ნაციონალისტები იმავე ვნებიანობით, როგორც მოსკოველები იყვნენ ინტერნაციონალისტები. არც ერთი არ არის თავისთავად კარგი; არც ერთი არ არის თავისთავად ცუდი. თითოეული მათგანი ემორჩილება უბრალოდ გეოპოლიტიკურ კანონს, რომელიც საცხოვრებელ სივრცეს განაგებს. ორი მსოფლიო, რომელიც საცხოვრებელ სივრცეს განაგებს. ორი მსოფლიო, რომელიც ვერც დღეს და ვერც ვერასოდეს ერთმანეთს ვერ გაიგებს. რათა ეს დებულება გავამაგროთ, საჭირო იქნება ქვეყნის გეოგრაფიული აღნაგობისა და ისტორიაზე მოკლე მითითება. მაშინ უცხადესად გამოჩნდება, რაც უიმისოდაც ცხადია, რომ 1924 წლის აჯანყება არის მართლაც ერთი რგოლი ქართველთა დიდ მოქმედებათა რიგში, მხოლოდ ერთი წვერი გრძელ, გრძელ ჯაჭვისა.

* *
*

საქართველოს ყოველთვის უნდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა მრავალთა საუკუნეთა გასწვრივ. მტრები ერთი მეორეს სცვლიდნენ და მათთან ერთად იცვლებოდნენ ხოლმე ძალთა დამოკიდებულების ურთიერთობანიც. ხშირად ქვეყანა საუკუნოვან დამონებასაც ვერ ასცდებოდა ხოლმე. მაგრამ ყოველთვის მოულოდნელად ავარდებოდა ხანძარი წმიდა ეროვნული აღტყინებისა, რომლითაც აღფრთოვანდებოდა თანაბარი ვნებიანობით აღგზნებული მთელი ხალხი. მდაბიო გლეხიდან დაწყებული დიდ მემამულემდე და თავადამდე: მონობას სიკვდილი სჯობიაო!

* *
*

საქართველოს საცხოვრებელი სივრცე არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის ერთი მთლიანი და ერთიანი, არამედ შეიცავს იგი შემდეგ ნა-

წილ მხარეებს: მთიანი ადგილი ზემო მტკვრისა (ქართლი); მთიანი კახეთი ალაზნის ველითურთ და მის პარალელურ იორის ხეობასთან ერთად; კავკასიის შიგანი ნაწილი რიონის მხარისა მთავარი ქალაქით ქუთაისი (იმერეთი); და ბოლოს შავი ზღვის სანაპირო - აბხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, რომელსაც მონღოლების შემოსევამდე ლაზისტანიც ეკუთვნოდა. ქართული საცხოვრებელი სივრცის ტოპოგრაფიულ-კლიმატური სხვადასხვაობა იმით მცირდებოდა, რომ მთელი საქართველო ერთ განსაკუთრებულ და მყარ გეოპოლიტიკურ ძალთა ველზე იმყოფებოდა. ჩრდილოეთიდან ოდითგანვე ემუქრებოდნენ მას კავკასიის მთის ხალხები და უახლეს ხანაში კი რუსები. სამხრეთიდან - სომხები; ის, ვინც კი ყოველთვის აზერბაიჯანში ბატონობდა, - სპარსელები, მონღოლები თუ თათრები; საქართველო მუდამ ფეხზე უნდა მდგარიყო,. რათა აღმოსავლეთიდან შემოჭრილ საფრთხეს გამკლავებოდა. სხვანაირად არ იყო მდგომარეობა არც დასავლეთით, სადაც ბერძნები ან რომაელნი, არაბები ან თურქნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ კავკასია თავისთვის დაენარჩუნებინათ.

ქვეყანას აწვებოდნენ კონცენტრული ძალები და საქართველოს შეეძლო მათთვის გაეძლო მხოლოდ იმით, რომ მან გამონახა თავდამცველი ადგილი, საიდანაც მას შეეძლო საჭიროების ჟამს თითოეული ამ ოთხი მიმართულებით მოწოლილი მტრისათვის როგორმე თანაბრად შეეტია. როგორც სხვა წერილში გაჩვენეთ, არჩევანი თბილისზე უნდა შეჩერებულიყო. ეს ქალაქი კი ძევს მთლიანობის ფარგლებში ექსცენტრიულად, რაც საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურისათვის მძიმე ნაკლს ნიშნავდა. სახელდობრ, ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთის მიმართ თბილისი იყო მოცემული ბაზისი, მაგრამ დასავლეთის დაცვა თბილისიდან მხოლოდ ძნელად მოსახერხებელი იყო: ამისი შედეგი იყო ხშირი ჩამოტეხა ქვეყნის დასავლეთის ნაწილისა.

* *
*

დასაწყისიდანვე, ისტორიაში პირველ გამოჩენისთანავე საქართველო ცხადდება თავისი ტიპიური გეოპოლიტიკური სახით: დასავლეთით ბერძენთა კოლონიები (მილეთელთა მოსახლეობა) კოლხეთის სანაპიროზე, სახელდობრ ფაზის-რიონის დაბლობში; აღმოსავლეთით - დრო და დრო მთელი ქვეყანა ძველი ირანისაგან დამოკიდებულია; მალე კიდევ სამხრეთიდან - მუქარა მაკედონური ლაშქრობისა! ამ მოწოლას მოჰყვებოდა ხოლმე მიწოლა თავის-უფლების მოყვარულ ქართველთა. მესა-

მე საუკუნეში ქრისტეს წინ მათ მოიპოვეს ისევ თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა. ქრისტეს შემდეგ მესამე საუკუნემდე, როგორც იქმნა, გაჭირვებით ქვეყანას მშვიდობა მოუპოვეს; შემდეგ იწყება ქართული სახელმწიფოს განმეორებული დანაწილება, რითაც ახალი სპარსეთის სახელმწიფო მარჯვედ სარგებლობდა, რათა საქართველოში მნიშვნელოვანი გავლენა თავისთვის განემტკიცებინა. აღმოსავლეთიდან მოწოლილი საფრთხე ქართველებს ისე დიდად მიაჩნდათ, რომ მათ ითხოვეს ბიზანტიის იმპერიის მფარველობა და ძლიერი დასავლეთ-სახელმწიფოს უზენაესობა აღიარეს; მაგრამ მაინც ამ ნაბიჯს მიზანი არ განუხორციელებია, რადგან უეცრად გამოჩნდნენ ახალი საშიში მტრები, არაბები. აწ მეშვიდე საუკუნიდან (თითქმის) მეთორმეტე საუკუნემდე საქართველოს უნდა ეტარებინა არაბული ბატონობის უცხო უღელი, მაგრამ ძალით აღსავსე პიროვნებამ დავით მეორისა (1089-1125) აღძრა მიწოლა თავისუფლებისაკენ. სანამ 1122 წელს თავდასხმის ჟამმა არ დაჰკრა. მადლიერი ხალხი ამ დიდ გმირს პატივსა სცემს დღესაც, სახელით „აღმაშენებელი“. ამას მოჰყვა ბრწყინვალე აყვავების ხანა და თამარ მეფის დროს (1184-1212) საქართველომ განიცადა უზენაესი ძლიერება და კულტურა, რაც შემდეგ მიუღწეველი დარჩა.

ოღონდ სწრაფად მოხდა გარდაცვლილება და საქართველო ისევ ღრმა გასაჭირში ჩავარდა. თამარის მემკვიდრეთა დროს ჩინგიზ ყაენის ურდოებმა გაანაცამტვერეს ქვეყანა; სახელმწიფო დაემხო; განაპირა ქვეყნებში ჩაიბუდნენ თურქები, ქურთები და სპარსელები. კიდევ იყო საჭირო არა ჩვეულებრივი პიროვნება, რათა ქართველი ხალხისათვის ერთიანობა და თავისუფლება უკანვე მოეპოვებინა; გიორგი მეხუთემ (1318-1346) მიზანშეწონილად განახორციელა ეს საქმე ეროვნული ხელახლა შობისა. ამასობაში, როცა ძლივს იქმნა დამოუკიდებლობა მოპოვებული, ქვეყანაში შემოიჭრნენ ნადავლის მსუნაგნი თემურ ლენგისა და რამოდენიმე დღეში მონღოლებმა გაანადგურეს ის, რაც გიორგი მეხუთემ წელთა განმავლობაში აღაშენა.

* *
*

კიდევ ერთხელ სჩანდა თითქოს, რომ გაერთიანებული და თავისუფალი საქართველო კვლავ უნდა ამდგარიყო. ეს იყო იმ წლებში, როცა ალექსანდრე პირველმა (1414-1424) საჭე ქვეყნისა ხელთ იპყრო და მაჰმადიანები საქართველოდან გააძევა. ქვეყნის ბედკრული განაწილებით ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ქართული სახელმწიფო დაიშალა: დასავ-

ლეთი საქართველო (პირველ ყოვლისა იმერეთი), ცენტრალ-საქართველო (ქართლი) და აღმოსავლეთ საქართველო (კახეთი). ახლა კი მტრებისათვის საქმე გაიოლდა. არავისათვის, ვინც გეოპოლიტიკურ საზრისს მიჩვეულია, მომავალი განვითარება საეჭვო აღარ იყო. აღმოსავლეთით ქართლი და კახეთი სპარსელებმა თავის ხელქვეითად გაიხადეს. ათასობით ქართველები, რომლებიც ამ უცხო ბატონობის წინააღმდეგ დრტვინავდნენ, - ამოხოცეს, ხოლო მრავალი სხვა ათასი სპარსეთს წაათრიეს. დასავლეთში თურქებმა განავრცეს თავისი ძალადობა და ამ მხარის უფრო და უფრო ფართო ნაწილების გამუსულმანებას მიაღწიეს. შემოჭრა ისლამისა შეიძლება უფრო უარესი იყო ვიდრე თავისთავად უცხო ბატონობა, რადგან მთელს აღმოსავლეთში, და ასე აღსრულდა ეს დასავლეთ საქართველოშიც, რელიგია უმტკიცესად მოქმედობს, ვიდრე სისხლით ნათესავობა, ვიდრე სახელმწიფო ქვითკირი. გაისლამებული ლაზები და აჭარლები, თუმცა სისხლით და ენით წმინდა ქართველები არიან, ნელ-ნელა დაიკარგნენ ქართული სახელმწიფოსათვის. თავისი ბედი მათ სავსებით დაუკავშირეს თურქებისას და ყოველი შემთხვევითაც სარგებლობდნენ, რათა თავისი ხალხის ძველ თანაწევრთათვის დაბრკოლებები შეექმნათ - ცდილობდნენ, სადაც შესაძლებელი იყო, თურქულ სახელმწიფოში მოქცეულიყვნენ. ლაზებმა ამ მიზანს უკვე მიაღწიეს; აჭარლებს უახლოეს დროში უნდა მინიჭებოდათ ფართო ავტონომია, რათა ისინი დედა-ქვეყანას შერჩენოდნენ.

* *
*

სპარსთა და თურქთა უცხო ბატონობა რამოდენიმე საუკუნე გაგრძელდა. საქართველოს მდგომარეობა უმდენად უფრო უნუგეშო იყო, რამდენადაც საქართველოს ჩრდილოეთით და სამხრეთით, მთებში ამავე დროს მოქმედება დაიწყო. შემოიჭრებოდნენ ხოლმე ხან ოსები, ხან ჩერქეზები, ჩეჩნები, ლეკები და მთის სხვა ხალხები. პირქუშ საძაგლად გამოიყურებოდა თამარის ქვეყანა და მხოლოდ ერთად ერთი გამოსავალი სჩანდა შესაძლებელი, რათა ეს ქვეყანა გაძიძგვნის საფრთხეს გადარჩენოდა: რომელიმე ევროპიულ სახელმწიფოს შეერთებოდა.

ქართველებმა, რომლებიც სპარსთა და თურქთა წინააღმდეგ ზოგ წარმატებას აღწევდნენ, მიმართეს ავსტრიასა და პრუსიას. გულწრფელი გაკვირვებით გაიგეს ევროპაში ქართველთა უიმედო ცდათა შესახებ, რათა მკვლელი მტრის წინააღმდეგ თავი დაეცვათ. ფრიდრიხ დიდმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ღირსეული პატივი სცა თავისი

ნათქვამით: „მე - ევროპაში და გმირი მეფე ერეკლე - აზიაში“-ო. მაგრამ მაინც ყველაფერი მეგობრული სიტყვით გათავდა; მაშინდელი ევროპისათვის საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორს იმყოფებოდა.

* *
*

ამ ხნის განმავლობაში ველიკორუსულმა ექსპანსიამ კავკასიას მიაღწია. მას შემდეგ, რაც 1774 წელს ოსები რუსებს შეუერთდნენ, ამათ ხელში ჩაუვარდათ უმნიშვნელოვანესი გადასასვლელი გზა კავკასიაზე და ამით რუსები საქართველოს კართან დადგნენ. (ქართველებს) უნდა გაებედათ და დაეწყოთ ბრძოლა რუსთა, თურქთა, სპარსთა, სომეხთა და სხვათა წინააღმდეგ?! რამეთუ ყველანი ესენი საქართველოს თავს დაესხმოდნენ, თუ კი ბრძოლა ერთ რომელიმე ადგილზე ატყდებოდა; ეს თავისთავად გასაგები იყო. ამ დიდ ჟამს (ქართველები) გაერთიანებული მაინც ყოფილიყვნენ! მაგრამ (საქართველოს) სახელმწიფო ისევ დანაწილებული იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ძალა აღარ ჰყოფნიდა, დასავლეთისათვის თავისი ნება თავზე მოეხვია. თბილისის მპყრობელს, რომელიც, რასაკვირველია, ამ საფრთხეს უწინარეს და უმძაფრესად გრძნობდა, ამგვარ ვითარებაში სხვა არა დარჩენოდა რა, თუ არ რუსეთთან ხელშეკრულების დადება: 4 აგვისტოს 1783 წლისა ერეკლე მეორემ, როგორც ქართლ-კახეთის მეფემ, ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან დადებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. თავისთავად ცხადია, ეს იყო ნაბიჯი, რომლითაც ქვეყანა მოსკოვის ვასალი ხდებოდა და იგი იყო მხოლოდ უკიდურესი საშუალება. სურდათ (ქართველებს) აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფო ამით შეენარჩუნებინათ, რათა შესაფერ დროს ჯაჭვები დაემსხვრიათ და კვლავ თავისუფალი გამხდარიყვნენ.

* *
*

მაგრამ ამაზე ფიქრი იმ ჟამად აღარ იყო. საქართველოში 1795 წელს სპარსელების შემოსევას რუსეთი უმოქმედოდ უცქეროდა და არც მაშინ განძრეულა, როცა თბილისი გადასწვეს და ძირიან-ფესვიანად გაანადგურეს; რამდენადაც ცუდად წავაო ქართველების საქმე, - ასე ანგარიშობდნენ პეტერბურგში, - იმდენად ისინი იძულებული გახდებიან რუსეთთან დამოკიდებულება უფრო მჭიდროდ დაიკავონო. ახალი ხელშეკრულება 1799 წლისა, არსებითად იყო უკვე მომზადება და საბაბი იმ დარ-

ტყმისათვის, რაც რუსებმა 1801 წელს მოახდინეს: აღმოსავლეთ საქართველო, - არც მეტი, არც ნაკლები, - შეერთებულად გამოაცხადეს!

რომ დასავლეთი საქართველო თავის ბედს ვეღარ ასცდებოდა, ეს გასაკვირველიც აღარაა. სისხლიანი ბრძოლებით შეიჭრა ორთავიანი არწივი 1803 წელს ქუთაისს და გმირულად წარმოებულ აჯანყებებს ამ ფაქტის შეცვლა აღარ შეეძლოთ, პირიქით, 1827-1829 წწ. რუსულ-თურქულმა ომმა შავი ზღვის სანაპირო მხარე ფოთის ჩრდილოეთით რუსეთის ხელისუფლებას ჩააბარა და 1877-1878 წწ. ომში რუსებმა დაიპყრეს ბათუმის მხარე და ყარსის მთიანი ადგილი.

* *
*

თუ აქამდე აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მოწოლა იყო გადამწყვეტი და ფართოდ დაკავშირებული გაისლამებასთან, ახლა დაწოლა ხდებოდა ჩრდილოეთიდან და იქიდან წარმოებულ გარუსებას ქართველი ხალხი არა ნაკლებ შემაწუხებლად განიცდიდა. ცხადია ახალი ბატონები ქვეყნისა ქართველებთან ერთი და იგივე რელიგიით იყვნენ დაკავშირებული, მაგრამ მაინც უცხო ბატონობა რუსულ ოკუპაციას ნიშნავდა. პოლიტიკურმა დაჭიმვამ მხოლოდ მიმართულება შეიცვალა; საქართველო იყო და დარჩა არა-თავისუფალი, კოლონია უცხოეთისა.

მეფის სახელმწიფოს დამხობა ომის დასასრულს შემთხვევას იძლეოდა დიდი ხნის სანატრელი თავისუფლება ქართველებს კვლავ აღედგინათ (...) (ასეც მოხდა, მაგრამ წითელმა რუსეთმა მას ანექსია მოუხდინა...)

ქართველი ხალხის ძალიან დიდი უმრავლესობისათვის ეროვნული შეგნება, მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისაკენ დაუსრულებლივ უფრო მტკიცე არის, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურისკენ მიმართული სურვილი. ქართველი ხალხის ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ, რათა მან კვლავ იხილოს ხანა დავით მეოთხისა და თამარისა, გამოიყვანა რევოლუციონერები 1924 წელს საბრძოლველად. უეჭველია, ეს არ იქნება უკანასკნელი.

მადლობას მოვახსენებ ქალბატონ დოკტორ რუთ ნოიკომმ-ს პროფ. ობსტის წერილის ფოტოკოპიის მოწოდებისათვის.

მთარგმნელი

* *
*

შენიშვნა მთარგმნელისა: პროფ. დრ. ერიხ ობსტის წერილი, თუმცა ალაგ-ალაგ ხორკლიანია და ისტორიულ გაშალაშინებას მოითხოვს, მაინც იგი დიდი სიტყვა იყო 1924 წლის აჯანყების მეორე დღეს ევროპაში ნათქვამი, სადაც პრესსაში იმ დროს კამათი იყო გამართული ამ აჯანყების შესახებ. პროფ. დრ. ერიხ ობსტ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული და ეროვნული განთავისუფლებისათვის მომხდარი. - აჯანყება სასოწარკვეთილების გამჟღავნებაა და თუმცა საქართველო აჯანყებათა კლასიკური ქვეყანა იყო, ეს აჯანყება მაინც ყოველთვის დიდ-მსხვერპლიანი ყოფილა და ბევრჯერ უშედეგოდაც, როცა კავკასიური საერთაშორისო ვითარება ხელშემწყობ პირობებში არ ჩნდებოდა; დიდი აწონ-დაწონვა და კვლევა იყო საჭირო ამ პირობათა გასასინჯად, ოღონდ აღშფოთებული და აღძრული ერი თავის თავს ვეღარ იკავებდა ხოლმე და სიკვდილს საჭურვლით უმკლავდებოდა. და როდესაც პროფესორი დრ. ერიხ ობსტ ბრძანებს: „უეჭველია, ეს არ იქნება უკანასკნელი აჯანყება ამ გმირული ხალხისა“-ო ამით, მგონია, იგი გამოხატავს იმ სულიერ გმირობას, რაც ეროვნული განთავისუფლებისათვის ქართველ ხალხს აცოცხლებს, - ოდეს ხრმალი და კაჟიანი თოფი ბატონობდა, მაშინ აჯანყება იქნებ იოლიც იყო, მაგრამ არც დღეს და არც მომავალში იგი გამოსადეგი არაა და კიდევ მეტი: - საზიანოც, დამღუპველი. - საქართველო, ეჭვი არ გვაქვს, რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდება, მაგრამ არა აჯანყებით, არამედ თვით საბჭოთა კავშირში შექმნილ და საერთაშორისო ვითარებათა შედეგად, და თვითონ ქართველი ხალხის თანამონაწილეობითაც.